


№ 6-22
1908



ნატარქული № 16



1908

საქართველო
საქონალი

მცირე

წლოვანთათვის.

აგვისტო

700

შინაარსი

I— ღორი.—(ლექია) აკაკის	3
II— შეცდომა.—(. დ. ელიოზიშვილის	4
III— ლურა ჩიტი.—(გერმანულით) თამარ ნაცვლიშვილის	7
IV— რა გვიამბო დედამ.—(თარგმანი) თავი XVP სანთელი. ან. ამილახურის	12
V— იაღონი.— (გერმანულით) ა. ეუმიისთაველის	15
VI— ანდროს ვარსკვლავი.—(რუსულით) თ. ბაქრაძის	17
VII— მარგალიტი.—(ვაგნერიან) დ. კიფიანის	21
VIII— ანდაზები და გამოცანები:—ა) ურმული ლექსები, ბ) ზმები,—ბ) რებუსი და აღსნა	24

დავადელი

წილიწადი მ-IV.

№ 16

აგვისტო 1908 წ.



8937


შინაარსი

I — ღორი. — (დექსი) აკაკისა	3
II — შეცდომა. — (ვ. ა.) დ. უდიდობიშვილისა	4
III — ლურა ჩიტი. — (გერმანულით) თამარ ნაცვლაშვილისა	7
IV — რა გვიამბო დედაბ. — (თარგმანი) თავი XVII სანთელი. ან. ამილახვრისა	12
V — იაღონი. — (გერმანულით) ა. უუმისთავკელისა	15
VI — ანდროს ვარსკვლავი. — (რუსულით) თ. ბაქრაძისა	17
VII — მარგალიტი. — (ვაგნერიდან) დ. ეიფანისა	21
VIII — ანდაზები და გამოცანები: — ა) ურმული ლექსები, ბ) ზმეები, — ბ) რებუსი და აღსნა	24



გვერდი

ლორე




ძებს და არ დაუკარგავს,
კენესის და არა სტკივა რა;
აღლოს აიღებს, სუნს იცემს,
წუწკად საკვებზე მივა რა!

უველას დასუნავს, რასაც კი
ის დაინახავს თვალითა;
გაძღება, გაიგრილებს გულს
წუძეში კოტორიალითა!

გაძღება — ბედნიერია,
ძეტი არც უნდა ამ ქვეყნად,
„ცა ქუდად არ მიაჩნია
და დედამიწა ქალამნად.


აკაკი





უცდომა

(გ. ა.)



ატო და ოლა გულითადი მეგობრები იყვნენ; ერთ ჰანსიონში იზრდებოდნენ და კლასშიაც ერთად ისწავნენ. ცუდი ამბავი შეეძთსვა ერთხელ კატოს: გაკვეთილი არ იცოდა, და როდესაც მასწავლებელმა ჰკითხა, დაიბნა, ველარფრის მიგება მოახერხა და მწარე ტირილი მოართო.

— ეკ არაფერსა ჰგავს! — შენიშნა მასწავლებელმა. — თქვენ ზარმაცობთ, არ გინდათ იმეცადინოთ, როგორც წესია; მე ამისათვის უთუოდ დავსჯით. თქვენ დღეს სახლში დაუთხოველი დარჩებით და, ამის გარდა, — ხვალის გაკვეთილისათვის ფრანგულსაც გადათარგმნით.

კატომ აღარ იცოდა, რა ექნა. ის მზად იყო თავდავიწყებით ღრიალი დაეწყო, რადგან ფრანგული თავის დღეში არ გადაუთარგმნია, არამედ სახლში აღმზრდელი უთარგმნოდა.

— მე... მე... მე... — შეეცადა თავის გასამართლებლად რილსიც თქმას, მაგრამ მასწავლებელმა სასტიკის გამოძეგვრებით შეხედა და ანიშნა ადგილზე დამჯდარიყო.

— დამშვიდდი, — უთხრა ოლამ კატოს, როდესაც გაკვეთილები გაუთავდათ, — მე გადაგითარგმნი ფრანგულს და ხვალ დილით ადრე მოგიტან.

კატომ მადლობის ნიშნად გადაჭკოცნა კეთილი ამხანაგი, რომელმაც მეორე დღეს მართლაც შეუსრულა დანაპირები.

— აბა, მიხვეწეთ ნათარგმნი, დღეისათვის რომ დაგინიშნეთ, — უთხრა მასწავლებელმა კატოს, როდესაც კლასში ეველამ თავი მოიყარა.

კატო წამოდგა და გაუწოდა რვეული, იმ წუთას ოლასან გან ფარულად გამოართმეული.

— ძალიან კარგი, ესლავ გადაათვალიერებ, მიუგო მასწავლებელმა და, რვეული რომ გადაშალა, განცვიფრებულმა შესედა მოწაფეს.

— ამ რვეულის მეტი თან სხვა რვეული არა გქონიათ?

— არა.

— მაშასადამე შეუძლებელია, აგრეგოდათ?

— არა. ხელახლად უნასუხა კატომ, მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ რა სამინელებას უმსადებდა ეს გამოკითხვა.

— არ შეგიძლიანთ მითხრათ, რა ალბადიან დაიწვეთ თარგმანი?

კატო შეიმშუშნა. იქვე მჯდომმა ოლამ ჩუმად უკარნახა ჰირველი სტრიქონი. კატომ თუთიუშვით გაიმეორა.

— დარწმუნებული ხართ? ხელახლად დაეკითხა მასწავლებელი.

— დარწმუნებული გასლავართ... — გაუბედავად მიუგო ქალმა.

— მაშ, გაისარჯეთ და გადაათვალიერეთ თქვენი ნათარგმნი. — ამ სიტყვებით გადასცა კატოს რვეული.

ახლა კი მიხვდა მოწაფე, რომ საქმე ცუდად ბოლოვდებოდა.

— წაიკითხეთ, წაიკითხეთ ხმა მაღლა! — ჩანსცივებოდა მასწავლებელი.

კატომ დაიწყო:

სორცი 5 გირვანქა, ერბო 1 გირ., ბრინჯი 4 გირვ., ეველი 1 გირვ., მწვანელი 3 კაპ., ნავთი 3 გირვ.

მე არ ვიცი... ეს... რას... ნიშნავს, — უნასუხა შერცხვენილმა ემაწვილმა.

ოლა თავის ადგილზე იჯდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, არც ცოცხლის ფერა ედო და არც მკვდრისა, — ის მაშინვე მიხვდა, რომ სიჩქარისაგან შეცდომით დედის სახარჯო რვეული წამოუღია.

— ამისხენით, ეს რას ნიშნავს? — შეეცადა მასწავლებელი კატოსათვის რაღაც ეთქმევინებინა, მაგრამ დამნაშავე სმას არ იღებდა; ოლაც გაჩუმებულიყო.

ამ დროს, უეცრივ რაღაცა სმაურობა მოისმა დერეფნიდან.

— გამიშვით, გამიშვით! — ფიროდა ვიღაცა ქალი.

— არ შეიძლება! — ეწინააღმდეგებოდა მეკარე.

მაგრამ ქალის სმა უფრო და უფრო მძლავრებოდა და ახლოვდებოდა; და აგერ კლასის კარები სწრაფად გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ოლას აღმჩნეული, რომელსაც ხელში ლურჯი რვეული ეჭირა.

— ოლა, აი ის რვეული, გუშინ მთელი საღამო რომ სწერდი! — სიჩქარისაგან შინ დაგიტოვებიათ და შეცდომით დედითქვენის საანგარიშო რვეული წამოგიღიათ.

— აჰაა, ახლა კი მესმის, ახლა კი ვგეღაუფერი გამოირკვა! — შენიშნა მასწავლებელმა.

— მაპატიეთ! — წაიდუდუნა ოლამ.

— მაპატიეთ! — იმეორებდა მასთან კატოც.

— არა, ძალიანაც რომ მოვისურვო, თქვენი დასჯა შეუძლებელია, — წასკდა სიცილი მასწავლებელს და იმასთან ერთად მთელს კლასს.

დ. ელიოზიშვილი.





ბელურა ჩიბი

(გერმანულით)



ერცხალი ძაღლიან დაღონებული იყო; ბან-
სედ შროშის ბუდის მახლობლად იჯ-
და თავჩაკიდული.

აღარც ერთი კოლო-ბუხი. ჭიკჭიკებ-
და საცოდავი სმით მერცხალი.—ეველამ
თავს უშველა, ეველა წაჰვიდა-წაჰმოვიდა და
მე-კი საშინლად მშიერი დაუფრინავ.

დღეს დილით,—სთქვა შრიძანმა,—ვერც ერთი ჭიკჭიკა ვერ
დავიჭირე,—ჯავრიანად გააქნ-გამოაქნია თავისი ჭკვიანი თავი.

აქვე მივიდა ეარუბტი, რომელიც ამპარტავნულად ღობის
მახლობლად ცალ ფეხზე გაჩერდა და დაიწყო ნაღვლიანად ცქერა.

—თქვენგანს ბაუაეი ხომ არავის უნახავს?—ჭკითხა ეარ-
უბტმა.—ჭაობში ერთი ბაუაეიც აღარ მინახავს. წარმოიდგი-
ნეთ, დღეს მე არც-კი მისაუხმნია.

სწორედ ამ ლაპარაკში იუვნენ, რომ იქვე მიფრინდა
ძალადური და წაბოჯდა შოშინას ბუდეზე.

—რა დაგმართვიათ! რას ჩავიკიდნიათ თავები? ჭკითხა
ძალადურმა.

—ამაზედ მეტი რაღა უნდა დაგვემართოს,—უპასუხა შო-
შინამ,—ხეს ფოთოლი სცვივა, ჭიკჭიკა, ბუხი მთლად გამოი-
ლივა.

—დიას ეს საშინელება თქვენთვის,—სთქვა ძალადურმა.

—განა ეს შენთვის-კი არ არის სამწუხარო, თავმოძვონე
და მედიდურო ძალადური?—უთხრა თამაზად მერცხალმა.

ზასუსად ძალადურმა მსიარულად დაუშტვინა, გააქნა თავი და სთქვა:

— სულაც არა! ჩემთვის ჯერ ისევ ბლომად არის ნამვის ხეები თავის მწვანე ფოთლებით, მინდვრის მარწევი, ასე რომ მე შემძლიან კიდევ დიდხანს სიამოვნებით ვიცხოვრო.

— ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, — სთქვა ეარუატმა. ჩვენ იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ მოვიქცეთ ახლა, რა გზა გამოვძებნოთ, რომ სიმშვილი თავიდან ავიცილოთ?

— ერთად-ერთი გზა, ერთი საშუალება, — უზასუსა შრომანმა, — თბილ ქვეყნებისაკენ გამგზავრებაა. ჩემი ახლად დაბუთბლული ბარტყები თავისუფლად დაფრინავენ. მე იმათ ეოველ დილით მინდორზე ვავარჯიშებდი და საკმარისადაც მოვაძადავ, ასე რომ ამ დღეებში შეიძლება კიდევ გამგზავრება.

შრომანის წინადადება ეველას მოეწონა, გარდა ძალადურისა, რომელიც ფიქრობდა კიდევ რამდენიმე ხანი მოეცადა.

დანარჩენ ფრინველებმა ერთხმად გადასწყვიტეს ერთ დანიშნულ ალაგზე მოეყარნათ თავი და შესდგომოდნენ მგზავრობას.

ფრინველები რომ ამ სჯაბასში იყვნენ, თურმე იქვე ბნსედ, იმათ შეუმჩნევლად ბელურა ჩიტი იჯდა და მათ ლაპარაკს ეურს უგდებდა.

აჰ, ნეტავი-კი მეც შემეძლოს მოგზაურობა, — ფიქრობდა ბელურა. — მეც დიდი სიამოვნებით ვნახავდი უცხო ქვეყნებს. ჩემს მეზობელს მერცხალს, ჩემთვის სძირად უამბნია იქაური სიმშვენიერე. იქ თურმე მრავალი ბუზი არის, მშვენიერი ალუბალი, ჰურის მარცვალი, და სასიამოვნო სითბო. ნეტავი მეც შემეძლოს იმათთან ერთად თბილ ქვეყნებისაკენ გამგზავრება! მაგრამ მე იმათ სად შევედრები: მე ერთი საწვალდი ბელურა-ჩიტი ვარ, ისინი-კი კეთილშობილი ფრინველები.

დიდხანს იჯდა ჩვენი ბელურა, და რაც უფრო მეტს უფიქრდებოდა ამ საოცნებო საგანს, იმდენად უფრო მეტად ნადვლიანდებოდა.

საღამოს, როცა მერცხალი სახლში დაბრუნდა, ბედურა შეეხვეწა, — მეც თქვენთან წამიყვანეთო.

— შენ? შენ გინდა ჩვენთან წამოსვლა? — სთქვა მერცხალმა და გაიცინა დაცინვის კილოთი. შენ ეს მკზავრობა თან გადგიტანს. საშინელ სისწრაფით და დაუსვენებლივ უნდა გადავიაროთ ტყე, ველი, მინდორი და ზღვა. როგორ გგონია, შენი მოკლე ფრთების პატრონი შესძლებს ასეთ გრძელ მკზავრობას?

— აჰ, როგორი გულით მინდა თბილ ქვეყნების ნახვა, — ევედრებოდა ბედურა. თქვენ ოღონდ ნება მომეცით, მე ვიცე, შევძლებ თუ არა თქვენთან მკზავრობას.

— მგონია, ჭკვაზე სუსტადა ხარ, — უპასუხა მერცხალმა, — დაგვიწუებია, ვინა ხარ შენ!

— სრულ იადაც არა, — უთხრა საცოდავი ხმით ბედურამ. მერცხალმა მხედველობაში მიიღო ჩიტის საჩივარი და განუძარტა, ვინ არის იგი და რა ადგილი უჭირავს საზოგადოებაში.

„ვერა ჭხედავ,“ — უთხრა მერცხალმა, — მდიდარი ვაჭარი ზაფხულს სოფელში ატარებს, ზამთარში ქალაქს მიდის; ასევე იქცევიან მდიდარი მემამულეები და თავადები. ასევე ვიქცევით ჩვენ, კეთილშობილი ფრინველები. როგორც-კი ვიგრძნობთ ზამთრის მოახლოვებას, მაშინვე გავეშურებით სოფელს თბილ ქვეყნებისაკენ. თქვენ-კი საცოდავო, იძულებული ხართ აქ დარჩეთ. ასე დააწესა ღმერთმა. ასეთივე ბედი არგუნა ქარხნის მუშებს, საწყალ მოსამსახურეებს და გაღატაკებულ გლეხობას.“

მერცხლის ასეთ საუბარზე, ბედურამ წინააღმდეგის თქმა ვეღარ მოახერხა.

იმ დროს, როდესაც მერცხალი თავის თბილ ბუდეში უდარდელ ტკბილ ძილს მისცემოდა, ბედურა-ჩიტი იჯდა და სტიროდა თავისს არ სანატრელ ბედ-იღბალს.

მეორე დღეს დანიშნულს ადგილს ცის ეველა კუთხიდან

შეიკრიფნენ ფრინველები ერთ ტრიალ მინდორზე. იქ თავი მოკლავნათ შროშნებს, ეარუატებს, მერცხლებს და მრავალ სხვა ფრინველებს, გარდა გუგულისა და ბუღბუღლისა, რომელნიც დიდი ხანია უკვე წასულები იყვნენ.

— აბა მოვემსადნეთ, — დაიძახა ხანში შესულმა ეარუატმა, რომელიც ოცჯერ მაინც ეოფილიყო ეგვიპტში, და ჭკვიანად და გამოცდილად ითვლებოდა.

როცა ეველამ თავის ალაგი დაიჭირა, ეარუატმა გარე შემოუარა, და დათვალიერა წესიერი მათი წეობა. სულ ეველას, ვისაც-კი დაშავებულ ფრთებს შეამჩნევდა, ვისაც-კი ბოლოები აკლდათ, ან ვინც ავადმყოფად გამოიუჩნებოდა, წრიდან ზანჩურით ერეკებოდა. ვინც არ ემორჩილებოდა, იქვე ნისკარტით გლეჯდა.

უცხად რაღაცა ჩმაურობა ასტედა: თურმე ნუ იტყვიო ბედურა-ჩიტიც იმათ წრეში გამოჭიმულიყო.

— შე საძაგელო! — დაიუვირა ეარუატმა. შენც ჩვეთან აზირებ?

— მაგ საცოდავი ფრთების ზატრონი ჩვეთან ერთად მოკლავთოდას აზირებს! — მიაძახა დაცინვის სმით მერცხალმა.

ფრინველებმა ასეთი ჟრიაბული ასტესეს, რომ ჩვენი ბედურა შიშისაგან მთლად დაიღია.

— შე კარგად ვიცი, — სთქვა ბედურამ გულდაწყევტით, — რომ შე საცოდავი ზატარა ჩიტუნია ვარ, მაგრამ ძალიან გულთ მინდა თბილი ქვეყნების ნახვა. სცადეთ და წამიფანეთ! გემუდარებით, შეიწვნარეთ ჩემი ეს თხოვნა.

ეჰ, საქმე გაგვიჭირა, — სთქვა ბებერმა ეარუატმა. დავანებოთ მაგას თავი და განვაგრძოთ ჩვენი მოზავრობა.

ზანჩურ ამოკრულმა ბედურამ თავი შეაფარა ბანს. ისინი მოკლე ვარჯიშობის შემდეგ მწეობრად დალაგდნენ და გაუდგნენ კზას.

გულდაწევეტილი ბელურა ნადვლიანად გაჭეურებდა იმათ
გზას.

—წავიდნენ უველანი და დავრბი ძარტოდ-ძარტო!

—მეც აქა ვარ,—შესძახა ევაჰმა.

—მეც აქა ვარ,—დაიძახა ნიბლიამ.

—უკაცრავად, მეც აქ გახლავართ,—დაიწრინა წანწკარამ.

ძართალი მითხრა მერცხალმა,—სთქვა ბელურამ, ჩვენ,
საწყებლი ფრინველები, იძულებულნი ვართ აქ დავრჩეთ და სა-
ცოდაობით გავატაროთ ზამთარი.

თამრო ნაცვლიშვილი

(შემდეგი იქნება)






რა გვიაგზო ღელამ

(თარგმანი)

XVII სანთელი



ღეს რა ცივი და ბურუსიანი საღამოა! მაგრამ თქვენს ოთახში კი კარგა ღამაადად თბილა.

— დიას, დედა, გადიამ სამ საათზე აგვინთო სანთლები, — ისე ჩამობნელდა. რა კარგი იქნება, რომ გვიამბო რის-

გან კეთდება სანთელი, გენაცვალე გვიამბე!

— მაგის ჰირობას ვერ მოგცემთ, რადგანაც სანთელი ბევრნაირია, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე-კი გვიამბობთ, რასზე; სანთლის მასალას ჩვენ გვაძლევს ერთი უდიდესი ზღვის ცხოველი, და ერთიც ჰაწიან მცხოვრები სკისა. აბა, თუ მიხვდებით რა ცხოველებია?

— სულ ჰაწიან სკის მცხოვრები უთუოდ ფუტკარია. აკი გვითხარ, წმინდა სანთელს აკეთებენ რომლიდანაც სანთელს ასსმენო.

მართალი ხარ, ემი. აბა ახლა ვინ მიხვდება ზღვის ცხოველი რომელია არის?

— შენა სთქვი, დედა, რომ ის ძალიან დიდია, და ზღვაში უდიდესი სომ ვეშაპია?— შეეკითხა ნორმანი.

— ამ ცხოველს უწოდებენ კაშელოტს; დიდი თავი, თითქმის მესამედია მისი ტანისა. მარტო თავი ამ ოთახზე გრძელია და თითო კაშელოტი შეადგენს 25 ადლის სიგემს. თავში რომ ქონი არა ჰქონდეს, წეალში დაიძირებოდა; ამ ქონს ეძახიან სწერმაცეტს, და რადგანაც ქონი წეალზე სუბუქია, ამის გამო იტივტივებს ზედ და თავი მუდამ წელის ზემოდა აქვს, რადგან შიგ წეალში ვერ შესძლებდა სუნთქვას. ერთი კაშელოტი იძლევა, რამდენიმე კათსა ევითელ ქონს. ამ ქონს ცალკე ინახვენ და მარგალიტით თეთრ სწერმაცეტს ცალკე ინახვენ სანთლისთვის. სანთლებს აკეთებენ აგრეთვე ხარის და ცხვრის ქონისას. ცარიელი ქონის სანთელი არ არის კარგი, მხოლოდ თეთრი მაგარი ქონისას აკეთებენ სტეპარინის სანთელს, რომელიც თქვენც გინთიათ.

— რომელ ხისაგან აკეთებენ სანთელს, დედა?


— ჩინელებს აქვთ ერთ გვარი ქონის ხე, რომლის ტესლისას აკეთებენ სანთლებს. აფრიკაში და სხვა ცხელ ქვეუბნებშიც მოდის კაკოსის ხე, რომლის კაკლის ზეთისას აკეთებენ საუკეთესო სანთელს. ქვანახშირისას და ნავთისას აკეთებენ ჰარაფინის სანთელს. ესეა სომ ხედავთ, რომ სანათს გვაძლევენ ცხოველები, მცენარენი და ლითონნი. სანთელს ჩამოასხმენ სამ გვარად: ამოაწობენ ჰატრუქს ქონში და აკეთებენ ქონის სანთელს; ზოგს ჩამოასხამენ და ზოგს ასოროლავენ. გრძელ სარებსედ ჩამოჰკიდებენ წეობისად ჰატრუქს, მესამთლე ასწევს სარს და მასზედ ჩამოკიდებულ ჰატრუქს ამოავლებს გამდნარ ქონში; ჰირველად ამოვლებული რომ შეაძრება, მერმე ხელმოკრედ ჩაუშვებენ და

იმდენჯერ ამოავლებენ, მანამ საჭირო სანთელს სისქეს არ მისცემენ. ეს საქმე სასიამოვნო არ არის, რადგანაც გამდნარ ქონს ცუდი სუნი ასდის. ეალიბში ჩასხმული სანთელი უკეთესია. სომ გინახავთ, როგორ ასხამს მზარეული ფორმაში ქელეს. აგრეთვე ასხმენ ფორმებში-ეალიბში სანთელსაც. ეალიბი არის თუნუქისა, მინისა ანუ კალისა; ბოლო უფრო ვიწრო აქვთ, ვიდრე თავი. ეალიბს ჩამაგრებენ ჩარჩოებში, ჰატრუქს კი ჰკიდებენ მავთულებზე, ისე რომ შიგ ეალიბში ჩადიოდეს სადაც გამდნარ ქონს ჩაასხმენ, ანუ სტეარინს, სპერმაცეტს და სხვა რაიმე ზეთს. როცა შეცივდება, ამოაქვთ დამზადებული სანთლები, ცოტას შეასწორებენ და გზავნიან გასასყიდად. წმინდა სანთელს კი აგრე არ აკეთებენ, რადგანაც ადვილად ეკვრის ეალიბს და გაცხეებული ძალიანაც მჭიდროა. გორდას ზემოდან გამთხარ ჰატრუქს ჩამოჰკიდებენ, და ზედ ასხამენ გამდნარ წმინდა სანთელს. სანთელს მაგიდაზე დასდებენ და სველი ხით ასორსოლავებენ, რომ სწორე გამოვიდეს. — ახლა გვეოფათ, შვილებო, დროა ქვევით ჩავიდეთ. კარგად დაიძინეთ და ეცადენით ჰაწია ციმციმა სანთლებივით ანათებდეთ თქვენს ცხოვრებაში.



კაკოსის ხე.


ან. ამილახვარი





ი ა ღ ო ნ ი

(გერმანულით)



პატარა კაროლინას შავქოჩრიანი, მეტად ლამაზი უკეთელი იადონი ჭეხვდა. დილიდგან საღამომდის იადონი განუწყვეტლივ გალობდა. პატარა გოგონა უხვად უმასწინძოდებოდა თავისს საყვარელს იადონს: უგროვებდა მრავალს სხვა-და-სხვა მარცვლეულობას, უგრეზდა მწვანე ბალახს და ზოგჯერ შაქარსაც აჭმევდა. ცივი და ანკარა წყალი რომ იადონს ეოველს დღეს გამოუღეველი ჭეხნდა.

უეცრივ იადონი აუად გაუხდა. ერთს დილას რომ კაროლინას წყალი მიჭეხნდა, იადონი მკვდარი დაუხვდა გალიაში.

პატარა გოგონა საცოდავად თავს დაჭკეითინებდა საყვარელს იადონსა და თვალთაგან ცრემლების მდუღარებას ნაკადულებზე ჭდვრიდა.

დედამ კაროლინას სხვა იადონი უეიდა, უფრო ლამაზი უფრო ტკბილად და სასიამოვნოდ მგალობელი, სანამ წინანდელი იადონი.

კაროლინამ რომ ახლად ნაჟიდი იადონი დაინახა, უფრო ხმა მადლა მორთო ტირილი.

მეტად გააკვირვა დედა თავისი პატარა ქალის ესეთმა საყციელმა.

— ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილო, — ლმობიერად შეეკითხა დედა თავისს ქალს, — რატომა სწუხარ ასე? ახლა

მანც რაღა გაქვს სატირალი? რასა ჭბავს, შვილო, ტირილით სომ ვერ გავცოცხლებ მკვდარს იადონსა! ან არა,—და რა გაქვს სატირალი, როცა სამაგიეროდ გაცილებით უკეთესი იადონი გიყიდე!


კაროლინამ ცრემლების ღაზა-ღუპით უზასუსა დედას: „შვირუასო დედავ! მართალი რომ გითხრა, ეველაფერში დამნაშავე მე ვარ. მე ისე ვერ ვუვლიდი ჩემს იადონს, როგორც საჭირო იყო. ისეც-კი ვერ მოვუარე, როგორც შეძემლო. ზირ-იქით, უსამართლოდაც მოვექეცი ჩემს საუვარელს იადონსა“!


— აბა, რას ამბობ, ჩემო კარგო, — შენიშნა სიევარულის კილოთი დედამ, — შენ უოველთვის იშვიათის მზრუნველობით უვლიდი შენს იადონსა.

— არა, დედა-ჯან, დიდი დამნაშავე ვარ ჩემის იადონის წინაშე. გახსოვს, დედა, იადონის სიკვდილის წინა დღეებში რომ ნატესი შაქარი მომეცი იადონისათვის! ის შაქარი მე თვითონ შევჭამე, იადონისთვის არ მიმიტანია!..

უამბობდა ზატარა კაროლინა თავისს დანაშაულს დედასა და თან გულამოსკვნით ქვითინებდა; დედა-კი გულწრფელობისათვის გულში მაგრად იკრავდა და ტკბილად ჭკოცნიდა ტუჩებში.

ა. ეუმისთაველი





ანდროსპარსკვლავი

(რუსული)



თვალზე ვარსკვლავთა შორის ერთი მეტად
ზატარა და ნაზად მოციმციმე ვარსკვლავი მო-
ჩანდა.

დიდი ქალაქის ერთ ვიწრო ქუჩაში უშვე-
ლებელ სახლის სარდაფში ცხოვრობდა ზატარა
ბიჭი. ეს ბიჭი გამხდარი და უფერული იყო,
როგორც ეველს სარდაფში გაზრდილი. იმის

უსისხლო, გაუითრეებულ სახეს დიდი ნაღვლიანი თვალები
უძშვენებდნენ.

ამ ბავშვს თავის სიცოცხლეში ძალიან ცოტა მსიარულებს
ენახა და მრავალი მწუხარება. ისიც კი არ შეერძლო, რომ
თავისავით ღატაკ ტოლ-ამხანაგებთან ჭუჭყიან ეზოში სირბი-
ლით და თამაშობით ესიამოვნა, რადგან დაბადებითვე სულ
ავადყოფობდა და მოუძლეურდა. ამ ზატარასთვის საჭირო იყო

თბილი ჭაერი, ზღვაში ბანაობა, კარგი ჭამა-სმა, მაგრამ დღეს მოსარყესე ჭეჟდა, რომლის დღიური მოგება მხოლოდ იმდენად ჭეოფნიდათ, რომ სიმძლავრით არ დასოცილიყვნენ.

ამ ბავშვს ანდრო ერქვა. ანდრო არ თამაშობდა, არ ცელოქობდა; მთელი დღე ან ლოგინზე იჯდა, ან ფანჯარაში იუუ-რებოდა, რომლიდანაც გამძლეების ფესებს ხედავდა. გაჩუქებული და გაფითრებული, ვინ იცის, რას ფიქრობდა? ფანჯარაში ჯდომას არავინ უშლიდა. ავადმყოფი, გულის ტკივილით იმახდნენ იმავე სარდაფში მცხოვრებნი.

სარდაფის ფანჯრიდან ოდნავ ცა მოჩანდა და პატარა ვარსკვლავიც, რომელსაც ანდრო ხშირად შეჰყურებდა.

— ეს ჩემი ვარსკვლავია, სთქვა ერთხელ ანდრომ.

ვარსკვლავიც ხედავდა ფანჯარაში მჯდომ ბავშვს, დაჰყურებდა და იმახდა: ეს ჩემი ბავშვიაო.

დადგა გასაფსული. დადნა თოვლი. წყაროებმა ჩხრიალი დაიწყეს. დაიძრა ეინული და მდინარე ადიდდა. ანდრო ქვეშაგებზე ჩავარდა. დაგლეჯილი საბანი ესურა და თავის ალებს აღარ შეეძლო. არაფერს არ თხოულობდა, მაგრამ თუ მიუტანდნენ ფინჯნით წელს, ან თბილ ჩაის, სიამოვნებით სვამდა.

საღამოთი სარდაფში მდგომი ბუშა ხალხი დაბრუნდებოდა სოფელს, ატყდებოდა ფეხის სმა, გაუანი, სანდახან ჩხუბიც; სმაურობა ძალიან აწუხებდა ანდროს, თავს ატკიებდა, გულს უშფოთავდა, მაგრამ არა ჩივოდა. ხშირად შეეცოდებოდათ კიდევ ავადმყოფი, ზოგიერთი მივიდოდა, დაჰხედავდა და იტყოდა.

— აიძვრა წელი და ესეც თან გაჰყვება.

მაგრამ ეინულიც დადნა, მდინარეებსაც ლურჯად გაჰქონდათ კამკამი და ბავშვი კი ისევ ისე საცოდავად იწვა ლოგინში გაშრა ქუჩები და აქა იქა მწვანე ბალახმა ამოჰყო თავი.

დათბა. ხალხი კარედ გამოიძალა ჯურუდმულებიდან. მუადამედინ ისმოდა იმათი ლაპარაკი. ბავშვებსაც ქლავი-ქლუვი გაჰქონდათ ესოში.

სარდაფი სძირად ცარიელი იყო. მძიმე ავადმყოფი ანდრო მარტოვად მარტო იწვა.

ვარსკვლავი ეოველ საღამოს ჩაჭეულებდა ფანჯარას, მაგრამ ვეღარ ჰხედავდა თავის ჰატარა ბიჭს, რადგანაც იმის ლოგინი ფანჯრიდგან მოშორებით იდგა. ვარსკვლავმა მოიწვინა და იფიქრა:

— ნეტავ ვიცოდე, რა დაემართა ჩემს ჰატარას?

ამ დროს მოფრინავდა ანგელოზი. დედამიწიდან დაბრუნებულიყო: ეს არის ესლა ანდროს საწოლზე იჯდა უხინრად და ნუგეშსა სცემდა.

ანგელოზმა გაიგო ვარსკვლავის ნატვრა და უთხრა:

— მე ვიცი იმ ბავშვის ამბავი, — მძიმე ავადმყოფია.

— მანამ ქეშაგებად ჩავარდებოდა, სძირად იჯდა ფანჯარაში და მიუერებდა; მეც დავცქეროდი და თითქოს ვანუგეშებდი. ნეტავი შექმდლოს ესლა იმასთან ეოფნა!

ანგელოზმა უთხრა:

— გინდა იმასთან ეოფნა და ნუგეშის ცემა?

— ოჰ, ძალიან!

ანგელოზმა მოსწვევით ვარსკვლავი და დაეშვა დედა-მიწისკენ.

მეორე დღეს ფანჯარასთან ამოვიდა ოქროს ფერის ევა-ვილი. საამურად ირსეოდა თავის მწვანე ღეროზე და ჩაჭეულებდა ავადმყოფს. აქედან კარგად მოჩანდა ანდროს ლოგინი და თითონ ანდროც, სამინლად გამხდარი და ფერმკრთალი. ბავშვმა ახსილა თვალები და დაინახა ევა-ვილი.

— რა ლამაზი ევა-ვილია!

დასუსტებულმა დახუჭა თვალები, მაგრამ ისევ ჩქარა ახსილა. ევა-ვილი საკვირვლად ბრწეინავდა მხის სსივებზე.

— ეს ევა-ვილი ჩემს ვარსკვლავსა ჰგავს, იფიქრა ანდრომ და ისევ დახუჭა თვალები.

მოელი დღე გაუნძრევლად იწვა ბავშვი, მაგრამ როგორც გაახელდა თვალებს, მაშინათვე შეჰხედავდა ასე მოულოდნელად მის ფანჯრის წინ ამოსულ ევა-ვილს.

— ეს ევაგილი ჩემია, ჩემი! სისწრულით ფიქრობდა ანდრო. დაღამებისას ავადმყოფი მიბინარდა მზე ჩაკიდა, ევაგილიც მოიკუმშა. მაგრამ მეორე დღეს ისევ გაიფუქნა და ოქროს ფრად ბრწყინავდა მზის შუქსედ.

ანდრო უფრო დამძიდა, თვალებს ველარც კი ახელდა, ეველანი მწუსარებით დასცქეროდნენ. სმაურობა და ლაპარაკი შესწევითეს. ხანდახან წაიხურჩულებდა ვინძე:

— სულსა ლევს, დაიტანჯა ღვთის ანგელოზი.

ანდრომ კიდევ გაბასალა თვალები და შეჭხედა ევაგილს.

— ევაგილი... ევა...ვილი—ძლივსლა სთქვა ანდრომ და გამსდარი ხელები გაიშვირა ფანჯრისკენ.

ჯერ ვერ გაიგეს, რა უნდოდა, მერმე კი ერთმა მოსუცმა გლახაკმა თვალი გააფოლა იმის ხელებს და დაინახა ევაგილი.

— ესა? ჭკითხა და საჩქაროდ გავიდა გარეთ.

მოსწევით ევაგილი და შემოუტანა სულთმობრძავ ბავშვს. ანდრომ მაგრამ ჩასჭიდა ხელი, დამშვიდდა.

სადამოხედ ბავშვის სპეტაკი სული და ვაწსკვლავი ერთად დაბრუნდნენ ცაში.


თ. ბაქრაძე





მარგალიტი

(ვაგნერიდან)



ღვაში, დიდ სიღრმეზე, უძრავ საღვთოზე
ცხოვრობს მარგალიტის სადაფი, რომელიც
ფრიად ცოტა სასრდოთი კმაყოფილდება.
კლდეზე არის მიმაგრებული, გადაშლის სა-
დაფის ორსავე ნახევარს და მოამინებით
ელის, სანამ ზღვის წყალის სხვა ცხოველებს
ან თევზების ნახუფრალს მოუტანს. მარგა-
ლიტის სადაფი ნამცეცხვს წყალსაც აუოლებს, და მასთან ერ-
თად კირსაც ჰქვამს, რომელიც ზღვის წყალში ისეა გასხნი-
ლი, როგორც შაქარი ეხვამი.

ამ კირისას ჰატარა ცხოველი იმხადებს სადაფს და შიგ,
როგორც სასლში, ისე ცხოვრობს. გარედან სადაფს კბილე-
ბი აქვს და მავარია. სადაფზე იზრდება ჰატარა ღრუბელი,
ნამცეცხა მარჯანი და სხვა ზღვის ცხოველნი. ეველა მძურად
მოთავსებულია აქ და, როგორც კარგი მეგობრები, ისე ცხოვ-
რობენ. შიგნიდან სადაფი სრულიად უსოფლოა, ბრწყინავს,
როგორც ვერცხლი და ცისარტყელას ეველა ფერებით ელვა-
რებს.

ამ ცხოველის საცხოვრებელ ღოკოგინისას, სადაფისას აკე-
თებენ დილებს, დანის ტარებს და სხვა მრავალს და სასარ-
გებლო ნივთებს.

მაგრამ ამ ჰატარა ცხოველსაც ზღვის ძირზე თავის დარ-
დი აწესებს, ისე როგორც ეოველ არსებას დეკამიწზე. მა-
შინ როდესაც ის მშვიდობიანად ზღვის წყალს სვამს, სადაფ-

მა წებალთან ერთად ჰატარა ქვიშის მარცვლიც ჩაჭყვება, მჭიდროდ ჩაჯდება სადაფში, უჭერს და აწებს საცდავ ცხოველს. ხელები, არა აქვს, რომ შეძავიწროვებულ ქვიშის მარცვლისგან გათავისუფლება შეეძლოს, და ამიტომ სხვა სერხი უნდა ის მაროს, რომ თავს უშველოს.


თავის ხორციან კანადგან ის გამოიყოფს სადაფის მსგავს ნივთიერებას, სწორედ იმას, რომლითაც გაღვსილია შიდა პირი ორთავე სადაფისა, და ქვიშას მითი დაჭუბარავს. ეს ნივთიერება შრეებად ეფინება ქვიშის მარცვალს და ამხაირად ჩხდება ვერცხლის ფერი, ბჭვერიალა მარგალიტი. სადაფით დაფარული ქვიშის მარცვალი აღარ აწებს ცხოველს.

ადამიანი მარგალიტს ძვირად აფასებს და კარგ ფულსაც იძლევა მასში. ამიტომაც იმ ქვეყნებში, სადაც მარგალიტი მოიპოვება, არიან ბევრი გამბედავი ვაჭრები, რომელნიც მიუხედავად მოსალოდნელ განსაცდელისა, ზღვის უფსკრულში ეშვებიან და კლდეებზე მარგალიტის სადაფებს ჰკლავავენ. ამ ლოკაციებს ეს თავ-ხელ-ალებულნი ახალგაზრდანი ჰარკებში აწეობენ, რომელიც წელზე აქვთ შემოკრული. სავსე ჰარკებით ზღვის ზედა პირზე ამოსცურდებიან, სადაც მათ ნაგები ელიან. ნადავლს ნაგებში ჰყრიან და ხელ-ახლა, ცოტა ხნის დასვენების შემდეგ, ზღვაში მიძვრებიან. ამასობაში შემოდ დარჩენილი ამხანაგები ხსნიან სადაფებს, იღებენ მშვენიერ მარგალიტს და ოქრომჭედლებს მიჰყვებიან.

ოქრომჭედელი მარგალიტით ამშვენებს ბეჭდებს, საეურეებს, ეელსაჲდ მეწვეებს და სხვა ძვირფასს საგნებს, რომლითაც ასე თავი მოაქვთ და ამაუბენ მდიდარი ქალები.

დ. ყიფიანი





ს ა რ ო ს ტ ი ხ ი

ნეტა, რა კარგი რამ არის,
 აკერ მთის შვილი, ანკარა,
 კლავსით რომ მოახანჩქარებს,
 აღძვრისავით დამწვანარა,
 და თან შეჭხარის ტყე შინდორს,
 უეკარს, აგრილებს წენარ-წენარა;
 ღოცავს დიდი და ზატარა,
 იმისგან ეველა დამტკბარა!

უჩუქი ლექსები

აღაღმაქო, აღაღმაქო,
 დიდუბეში ეანა მაქო,
 შიგ მუშები მიეენია,
 ლუკმა ზური არა მაქო.

მე ჯავახეთს რა მიძავდა,
 მთვარე იდგა მწესავითა,
 კალმასი და ქერის ზური
 წინ მეუარა ბესესავითა.

ზ მ ე ბ ი

ადგილი დაძრწა ქუჩისკენ,
ნეტარი ელისბარისა:
აქ ვარ დიმიტრი ბუნაგში,
ემენდა კლიტე კარისა!


ბიძა ღლიდა საქონელს,
ვისილე კვირა დილითა.
ნიკა, ტარელ უეუროთ,
რისსვა დიმიტრის სილითა!



,



,



,



მე-15 №-ში მოთავსებული გამოცანების აღსახა:

1. ფესხაცმელები,—2. თოფი.

რეზუსის აღსახა: სურს გატყენილია.

ყოველ დღიური გაზეთი

„ამირანი“

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—	7 მანეთი.
ნახევარი წლით	„ „ „ —4 მანეთი.
ერთი თვით	„ „ „ —90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო
პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი
წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის
გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში; „ნაკა-
დულის“ რედაქციაში და „იდულის“ სტამბაში (კიკნაძესთან)
ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ისიდორე კვი-
ტარიძესთან.

открыта подписка на 1908 годъ

на газету

ЗАКАВКАЗЬЕ

ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНИЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ: ||| Съ пересылкой въ другіе города
на годъ 6 руб.—коп ||| на годъ 8 руб.—коп
на полгода . . . 3 руб. 50 коп ||| на полгода . . . 4 руб. 50 коп
Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое
Тифлисъ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საქმასწავლო სურათებისა და ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24

წიგნი ჟურნალი „ნაკადუ-
ლი“ მცირე წლოვანთათვის

12

წიგნი ჟურნალი „ნაკადული“
მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მაიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა. რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდად ეთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.